

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემფასებელთა მოსამზადებელი ორი კურსი: „ძვირფასი ლითონები“ და „ძვირფასქვიანი საიუველირო ნაწარმი“. მომზადების თითოეული კურსი მთავრდება ტესტირებით, რომლის დადებითი შეფასების შემთხვევაში მსმენელი იღებს შემფასებლის კვალიფიკაციას და შესაბამის სერტიფიკატს.



„ძვირფასქვიანი საიუველირო ნაწარმის“ მომზადების კურსი მოიცავს:

1. ზოგადი საკითხები ბრილიანტების შესახებ;
2. ბრილიანტის ფერისა და სისუფთავის განსაზღვრა;
3. ბრილიანტის დამუშავების ფორმების და ხარისხის განსაზღვრა;
4. ბრილიანტის ხარისხის დადგენა და შეფასება; მისი გარჩევის საშუალებები;
5. ფერადი ძვირფასი ქვების დიაგნოსტიკა და შეფასება (ლალი, საფრონი, ზურმუხტი);
6. მოასანიტი და სხვა იმიტაციები; მოასანიტის გარჩევის საშუალებები;
7. ნაკეთობის ღირებულების გამოყვანა;
8. ძვირფასი ქვების პრეისკურანტი.

„ძვირფასქვიანი საიუველირო ნაწარმის“ მომზადების კურსის ხანგრძლივობა ხუთკვირიანია, პირველი გამოცდის ჩათვლით. თითოეული მსმენელის მომზადების ღირებულება – 900 ლარია.



„ძვირფასი ლითონების” მომზადების კურსი მოიცავს:

1. ძვირფასი ლითონების დახასიათება და მათი თვისებები ;
2. ძვირფასი ლითონების შენადნობები სინჯების მიხედვით;
3. ძვირფასი ლითონების შენადნობები ფერის მიხედვით;
4. ნაკეთობის სინჯის აღმნიშვნელი დამლევი ქვეყნების მიხედვით და დამლევის პერიოდები;
5. ძვირფასი ლითონების სინჯების სისტემა (მეტრული, ზოლოტნიკური, კარატული) და მათი შესაბამისობა;
6. სინჯებისა და დამლევის განსაზღვრის მეთოდები;
7. დამცავი და დეკორატიული საფარები;
8. ფალსიფიცირებული ნაკეთობები და მათი ამოცნობის მეთოდები;
9. ნაკეთობის შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები, ღირებულების გამოყვანა;
10. ოქროს და ვერცხლის მონეტები;
11. გაყალბებისათვის გამოყენებული არაძვირფასი ლითონები

„ძვირფასი ლითონების” მომზადების კურსის ხანგრძლივობა სამკვირიანია პირველი გამოცდის ჩათვლით, თითოეული მსმენელის მომზადების ღირებულება – 250 ლარია.

- სწავლის ღირებულების გადახდა წარმოებს სტუ-ს ანგარიშზე;
- მსმენელმა უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში. შესაბამისი სერტიფიკატის მისაღებად მან უნდა შეასრულოს თეორიული ნაწილის ტესტური საკითხების 96%, ხოლო პრაქტიკული ნაწილის 100%;
- პირველი საკვალიფიკაციო გამოცდის უარყოფითი ქულების შემთხვევაში მსმენელს უფლება ეძლევა გავიდეს ხელმეორედ გამოცდაზე ანაზღაურების გარეშე, ორი კვირის განმავლობაში. ყოველი შემდეგი გასვლა გამოცდაზე ფასიანია და შეადგენს გადასახადის 10%-ს.

მომზადების კურსები უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

კურსებს ემსახურება გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი: სრ. პროფესორი ნოდარ ფოფორაძე – კურსების ხელმძღვანელი; ასოც. პროფესორი ხათუნა გაჩეჩილაძე; ასისტ. პროფესორი სულხან გველესიანი; მოწვეული პროფესორი მედეა დაუთაშვილი;

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ძირითადად მიმდინარეობს სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სამ შესაბამისად აღჭურვილ ლაბორატორიაში.

ლაბორატორიები უზრუნველყოფილია შესაბამისი ხელსაწყო-მოწყობილობებით, სასწავლო კოლექციებით, დამხმარე საშუალებებით და ეტალონებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

593 27-24-65; 595 04-40-32 ოლიკო სესკურია